ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 7-28

2015 წლის 6 აპრილი
ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი, დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქ.თბილისში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N 20-108 დადგენილება.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

<u>დანართი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი (შემდგომში - წესი) ადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შემდგომში - ქალაქ თბილისი) ძაღლების და კატების (შემდგომში – ცხოველები) ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის პირობებს. წესი აგრეთვე განსაზღვრავს ცხოველებისათვის, როგორც ცოცხალი არსებებისათვის მინიჭებულ ბუნებრივ უფლებებს და მათი დაცვის მექანიზმებს.

2. ამ წესის მიზანს წარმოადგენს ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა და ამასთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრა-მართვა.

3. ამ წესის ამოცანებს შეადგენს ქალაქ თბილისში:

ა) პატრონაჟის, ზედამხედველობისა და ცხოველების მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით მათი კლასიფიკაცია;

ბ) ცხოველებთან მოპყრობის ჰუმანური მეთოდების დანერგვა;

გ) ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლი, საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული ჰუმანური მეთოდების გათვალისწინებით;

დ) საიმედო და უსაფრთხო ზოოანთროპონოზური, განსაკუთრებით რაბიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ე) ურბანულ გარემოში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მოწესრიგების ხელშეწყობა;

ვ) ამ წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრა *(19.05.2017 N 10-42, ძალაშია 23.05.2017)*.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ***პატრონიანი ცხოველი*** – ცხოველი, რომელსაც ჰყავს პატრონი, კონკრეტული მომენტისათვის იმყოფება ცხოველის პატრონის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის კონტროლქვეშ და რეგისტრირებულია უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულების ან ცხოველთა თავშესაფრის მიერ;

ბ) ***უმეთვალყურეო ცხოველი*** – ცხოველი, რომელზეც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ ხორციელდება კონტროლი ან მეთვალყურეობა და ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ, ცხოველის პატრონის დადგენისა ან ახალი პატრონის მოძიების მიზნით ტარდება შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები, ამ წესით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

გ) ***მიკედლებული ცხოველი*** – ურბანული გარემოს გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*;

დ) ***უპატრონო ცხოველი*** – ცხოველი, რომელზეც კონკრეტული მომენტისთვის არ ხორციელდება კონტროლი ან მეთვალყურეობა და ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ არ დაუდგინდება პატრონი, ამ წესით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

ე) ***ცხოველის პატრონი*** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს ცხოველი და უზრუნველყოფს მის რეგისტრაციას, მოვლა-პატრონობას, შენახვას, ვეტერინარულ მომსახურებას და სოციალური ქცევის კორექციას, ამ წესით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით;

ვ) ***ცხოველის მიმკედლებელი*** – ურბანულ გარემოში გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველის მეთვალყურე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უფლებამოსილ ორგანოში ცხოველის რეგისტრაციის მომენტიდან აქვს აღებული ვალდებულება ცხოველის ვეტერინარული მომსახურების განხორციელებისა და კვება-დაწყურვების უზრუნველყოფაზე, ასევე მიკედლებულ ცხოველთან დაკავშირებით დაინტერესებული პირისათვის საჭირო ინფორმაციის გაცემაზე *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*;

ზ) ***ცხოველის მომშენებელი*** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ცხოველთა მოშენებას კომერციული ან არაკომერციული მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და ამ წესის პირობების გათვალისწინებით;

თ) ***ცხოველის მოვლა-პატრონობა*** – ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნა: კვება ცხოველისთვის დადგენილი რაციონით და დაწყურვება, საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით, რეგულარული გასეირნება, ვეტერინარული ზედამხედველობის უზრუნველყოფა და მომსახურება – დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, ცოფის და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია, ვეტერინარული მკურნალობა, ლაბორატორიული კვლევა და ცხოველის აღზრდა – ჯიშის, წარმომავლობის, ბუნებრივი და ფსიქოლოგიური მონაცემების შესაბამისად, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობების უზრუნველყოფა;

ი) ***ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობები*** - შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული ცხოველის პატრონის ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება, ცხოველის პატრონის საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, ცხოველისგან ცხოველის პატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება;

კ) ***ცხოველის პატრონის დადგენის ან ახალი პატრონის მოძიების ქმედითი ღონისძიებები*** - ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში, 10 დღის პერიოდით, ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში, გაწეული ვეტერინარული მომსახურება, მონაცემები ცხოველის პოვნის გარემოებების, მისი პატრონისა და ცხოველის მოვლა-პატრონობის პირობების შესახებ და სხვა) გამოქვეყნების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოს ვებ-გვერდზე, ასევე სხვა, ცხოველთა შესახებ არსებულ პროაქტიულ სივრცეში (ვებ-გვერდები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორუმები, სხვა მედია-საშუალებები) *(ცვლილება 24.02.2017 N 3-15 ძალაშია 01.03.2017)*;

ლ) ***ვეტერინარული მომსახურება*** – ცხოველთა სნეულებების პროფილაქტიკა და მათი მკურნალობა, ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი სხვა მომსახურება;

მ) *ვეტერინარული დაწესებულება* - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს ვეტერინარულ მომსახურებას;

ნ) *კინოლოგიური დაწესებულება* - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს კინოლოგიურ მომსახურებას;

ო) *ფელინოლოგიური დაწესებულება* - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს ფელინოლოგიურ მომსახურებას;

პ)*ცხოველის უმტკივნეულო მოკვდინება (ევთანაზია)* - უფლებამოსილი პირის (ექიმი-ვეტერინარის) მიერ ცხოველის სიცოცხლის შეწყვეტა, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს ცხოველების ჰუმანურად მოკვდინებას, ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებსა და მეთოდებით;

ჟ)*ცხოველთა კლასიფიკაცია* – ამ წესით დადგენილი ცხოველთა ჯგუფების სისტემა, მათი სტატუსის განსაზღვრის, მათზე ზედამხედველობისა და მოვლა-პატრონობის განხორციელების მიზნებისთვის;

რ)*ცხოველის რეგისტრაცია* – ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართვის საფუძველზე, უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულების ან ცხოველთა თავშესაფრის მიერ ცხოველის რეგისტრაცია (აღრიცხვა), ამ წესით დადგენილი ცხოველთა კლასიფიკაციის შესაბამისად;

ს)*სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები* – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი ნორმები;

ტ)*ცხოველთა თავშესაფარი* – საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნილი დაწესებულება, რომელშიც განთავსებულია ან შესაძლებელია განთავსდეს 10 ცხოველზე მეტი და რომელთა ნაშიერის ასაკი არ აღემატება 6 თვეს, კომპეტენციის და დანიშნულების გათვალისწინებით შეყვანილი ცხოველების სამართლებრივი სტატუსის, ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენისა და მათ მიმართ შემდგომი პროცედურების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით;

უ)*უფლებამოსილი ორგანო* - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი, რომლის კომპეტენციას წარმოადგენს ქალაქ თბილისში ცხოველების მონიტორინგი და პოპულაციების მართვა-კონტროლის ორგანიზება, კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად;

ფ)*ცხოველების პოპულაციების მართვა* - საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, სახეობების მიხედვით, ურბანულ გარემოში ბინადარ ცხოველთა დატვირთვის ნორმების (1000 მოსახლეზე შეფარდებით ან ერთი კვადრატული კილომეტრის ფართობზე ბინადარი უპატრონო ცხოველების (სახეობების მიხედვით) ოპტიმალური ოდენობა), რიცხოვნობის დადგენისა და რაოდენობის ოპტიმიზაციის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ამ წესის ამოცანების უზრუნველსაყოფად;

ქ) *საბმელი* - ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც ზღუდავს პატრონისგან ცხოველის დაცილების შესაძლებლობას;

ღ) *მოკლე საბმელი* - ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც 50 სანტიმეტრის რადიუსით ზღუდავს პატრონისგან ცხოველის დაცილების შესაძლებლობას.

მუხლი 3. ცხოველთა კლასიფიკაცია

1. ურბანულ გარემოში ბინადარ ცხოველებს ენიჭებათ ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:

ა) პატრონიანი;

ბ) მიკედლებული;

გ) უმეთვალყურეო;

დ) უპატრონო.

2. პატრონიანის სტატუსი ენიჭება ცხოველს, რომელიც ამ წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის პირობების გათვალისწინებით, მესაკუთრის (მფლობელის) განცხადების საფუძველზე დარეგისტრირდება ცხოველების რეგისტრაციის განმახორციელებელი შესაბამისი დაწესებულების მიერ.

3. მიკედლებულის სტატუსი ენიჭება ცხოველს, შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართვის საფუძველზე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ამგვარად რეგისტრაციის მომენტიდან.

4. უმეთვალყურეოდ ითვლება ცხოველი, რომლის მიმართ ტარდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები, ასევე პატრონის მიერ მეთვალყურეობის გარეშე განზრახ მიტოვებული ცხოველი.

5. უპატრონოს სტატუსი ენიჭება ცხოველს, რომელსაც არ ყავს ან არ უდგინდება პატრონი ან მიმკედლებელი;

6. პატრონიანისა თუ უპატრონოს სტატუსი უდგინდება უმეთვალყურეო ცხოველს, მისთვის პატრონის დასადგენად ან ახალი პატრონის მოძიების მიზნით გასატარებელი შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების დაწყებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ცხოველის პატრონი

1. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს შეიძინოს, აიყვანოს (თავშესაფრიდან ან ქუჩიდან), იჩუქოს ან მიიღოს მემკვიდრეობით/ანდერძით ცხოველი.

2. პატრონს უფლება აქვს მოაშენოს ცხოველები არაკომერციული ან კომერციული მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და ამ წესის პირობების გათვალისწინებით.

3. რეგისტრირებული ცხოველი წარმოადგენს ცხოველის პატრონის საკუთრებას.

4. ცხოველის პატრონის სტატუსი არ ენიჭება 16 წლამდე ასაკის პირს, მისი მშობლების ან მეურვის წერილობითი თანხმობის გარეშე.

5. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ეკრძალება საკუთრებაში (მფლობელობაში) კონკრეტულ მისამართზე ან/და ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე ერთდროულად 10-ზე მეტი ცხოველის (გარდა ამ ცხოველთა ნაშიერისა, რომელთა ასაკი არ აღემატება 6 თვეს) ყოლა, თუ ეს მისამართი ან/და ტერიტორია არ აკმაყოფილებს ამ წესით ცხოველთა თავშესაფრისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*.

მუხლი 5. ცხოველების რეგისტრაცია და მონაცემთა ერთიანი ბაზის წარმოება *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*.

1. ცხოველის რეგისტრაციას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო ან მისი თანხმობით შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულებები ან ცხოველთა თავშესაფრები, ცხოველის პატრონის ან მიმკედლებლის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, ამ წესით დადგენილი პირობებით.

2. პატრონი ან მიმკედლებელი ვალდებულია მოახდინოს ცხოველის რეგისტრაცია, რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ცხოველების რეგისტრაციის სახეებია:

ა) პირველადი რეგისტრაცია;

ბ) რეგისტრაცია, ცხოველისა და მასზე პატრონობის/მიკედლების ფაქტის დადგენის მიზნით;

გ) საკონტროლო რეგისტრაცია;

დ) დროებითი რეგისტრაცია.

4. პირველად რეგისტრაციას ექვემდებარება:

ა) ერთი თვის ასაკს მიღწეული ცხოველი;

ბ) ერთ თვეზე მეტი ასაკის არარეგისტრირებული ცხოველი.

5. რეგისტრაციას, ცხოველისა და მასზე პატრონობის ფაქტის დადგენის მიზნით, ექვემდებარება ცხოველის პატრონის საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული არარეგისტრირებული ცხოველი, ამ წესის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში.

6. რეგისტრაციას, ცხოველისთვის მიკედლებულის სტატუსის მინიჭების მიზნით, შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართვის საფუძველზე, ახორციელებს მხოლოდ უფლებამოსილი ორგანო.

7. რეგისტრაციას, ცხოველის მიკედლების ფაქტის დადგენის მიზნით, ექვემდებარება მიმკედლებლის ფაქტობრივი მეთვალყურეობის ქვეშ არსებული არარეგისტრირებული ცხოველი, ამ წესის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში.

8. საკონტროლო რეგისტრაციას ყოველწლიურად (12 თვეში ერთხელ) ექვემდებარება საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული ან მიკედლებული ყველა რეგისტრირებული ცხოველი.

9. დროებით რეგისტრაციას ექვემდებარება პატრონის საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული არარეგისტრირებული ცხოველი, რომელიც შემოყვანილია ქალაქ თბილისში სამ თვეზე მეტი პერიოდით, ქალაქ თბილისიდან ცხოველის გაყვანის მომენტამდე.

10. რეგისტრაციისას, გარდა ამ მუხლით დადგენილი დროებითი რეგისტრაციისა, გაიცემა ამ წესის დანართი №1-ით დადგენილი სარეგისტრაციო მოწმობა, ხოლო ცხოველს ენიჭება სარეგისტრაციო მოწმობის ნომრის შესაბამისი პირადი ნომერი. ცხოველის პატრონის საცხოვრებელი ან/და ცხოველის ბინადრობის ადგილის, საკონტაქტო ან სხვა სარეგისტრაციო მონაცემების შეცვლისას, რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების შეტანას სარეგისტრაციო მონაცემებში.

11. დროებითი რეგისტრაციისას გაიცემა ამ წესის დანართი № 5-ით დადგენილი ცხოველის დროებითი რეგისტრაციის მოწმობა.

12. დროებით რეგისტრირებული ცხოველის თბილისის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ საბოლოოდ გაყვანის შემთხვევაში, ცხოველის პატრონი/მფლობელი ვალდებულია ერთი თვის ვადაში მოახდინოს რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანოს ინფორმირება აღნიშნულის შესახებ.

13. ცხოველთა ერთიან აღრიცხვას, მონაცემთა ბაზის შექმნას, შევსებასა და ექსპლუატაციას უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანო, ცხოველთა მონიტორინგისა და მათი პოპულაციების მართვის მიზნების განსახორციელებლად.

14. ცხოველის რეგისტრაციის განმახორციელებელი შესაბამისი დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესით გათვალისწინებული ცხოველთა ახალი სარეგისტრაციო და ჩატარებული ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია) შესახებ მონაცემების უსასყიდლოდ, ამ წესის დანართი №2-ის მიხედვით წარდგენა უფლებამოსილ ორგანოში, ყოველთვიურად ან დაუყოვნებლივ, მოთხოვნის შემთხვევაში. აღნიშნული მონაცემების წარდგენა ხორციელდება ელექტრონული სახით, უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე (e-mail) ან სხვა ელექტრონული საშუალებით (ვებგვერდი, სპეციალური ელექტრონული პროგრამა და ა.შ.).

15. ცხოველების რეგისტრაციის განმახორციელებელი ყველა პირი ვალდებულია ცხოველების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საქმიანობის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ელექტრონული ფორმით აცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, ცხოველების სარეგისტრაციო საქმიანობის დაწყების სურვილის შესახებ. უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირების ვალდებულება ასევე წარმოიშობა სარეგისტრაციო საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, ამ საქმიანობის შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში.

16. ცხოველების რეგისტრაციის განხორციელების მსურველი პირის მიერ უფლებამოსილ ორგანოში ელექტრონული ფორმით წარსადგენი ინფორმაცია მოიცავს:

ა) პირის სრულ დასახელებას და საიდენტიფიკაციო მონაცემებს (ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელს, გვარს, პირად ნომერს);

ბ) პირის რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ფაქტობრივ მისამართს;

გ) იურიდიული პირის ხელმძღვანელის და უფლებამოსილ ორგანოში სარეგისტრაციო მონაცემების წარდგენაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემებს (სახელი, გვარი, საკონტაქტო ტელეფონი);

დ) მონაცემებს:

დ.ა) შესაბამის სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებში ცხოველების და მათი პატრონების მიღების საშუალებათა (სათანადო ფართი) შესახებ;

დ.ბ) ცხოველების იდენტიფიკაციის ჩატარების ვიზუალური (დათვალიერების უზრუნველსაყოფად) და ელექტრონული (მიკროჩიპის სკანირების უზრუნველსაყოფად) საშუალებების შესახებ;

დ.გ) შესაბამისი მანიპულაციების (ვიზუალური დათვალიერება, სკანირება) განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.

17. სარეგისტრაციო საქმიანობის განხორციელების თანხმობას გასცემს უფლებამოსილი ორგანო, რეგისტრაციის განხორციელების მსურველი პირის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, წარმოდგენილი მონაცემების გადამოწმება-დადასტურებისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

18. შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულება და თავშესაფარი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება, პატრონის მიერ (რომელმაც მიმართა აღნიშნულ დაწესებულებას) ამ მუხლით დადგენილი ცხოველის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ, ცხოველის პატრონის მიმართ შესაბამისი ზომების გატარების მიზნით. ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამის დაწესებულებას ეკისრება პასუხისმგებლობა, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 6. ცხოველის შენახვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული პატრონის ვალდებულებები

1. ცხოველის პატრონი პასუხისმგებელია ცხოველის ჯანმრთელობაზე, მოვლა-პატრონობაზე და მის კეთილდღეობაზე, ასევე სხვა ადამიანებისა და ცხოველების მიმართ საკუთარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებაზე.

2. ცხოველის პატრონი ვალდებულია აანაზღაუროს მის საკუთრებაში/მფლობელობაში მყოფი ცხოველის მიერ მიყენებული ზარალი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველის შენახვა და მოვლა-პატრონობა, კონკრეტული ჯიშის ცხოველის ბიოლოგიური და ეტოლოგიური თავისებურებების შესაბამისად. კერძოდ:

ა) ცხოველის სათანადო კვება და დაწყურვება;

ბ) ცხოველისთვის საძილე ადგილის გამოყოფა-მოწყობა, დათბუნება და განათება;

გ) ცხოველის გასეირნება და სათანადო ფიზიკური აქტივობა;

დ) ცხოველისთვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნა.

4. ძაღლის პატრონი ვალდებულია გააკეთოს გამაფრთხილებელი წარწერა ან აღნიშვნა ცხოველის საცხოვრებელ ტერიტორიაზე.

5. დაუშვებელია ცხოველის უპატრონოდ ან მეთვალყურეობის გარეშე მიტოვება. ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში, ცხოველის პატრონი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ცხოველი ჩააბაროს ცხოველთა თავშესაფარში, შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, პატრონი ან მისი წარმომადგენილი ვალდებულია ქმედითი ღონისძიებები გაატაროს ცხოველისთვის ახალი პატრონის მოძიების მიზნით.

6. ცხოველის პატრონი ვალდებულია 10 დღის ვადაში უზრუნველყოს ცხოველების რეგისტრაციის განმახორციელებელი დაწესებულების ინფორმირება, თავისი ან/და ცხოველის საცხოვრებელი ადგილის, საკონტაქტო ან ცხოველის რეგისტრაციისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა მონაცემების შეცვლისას, სარეგისტრაციო მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით.

7. ცხოველის პატრონი ვალდებულია 10 დღის ვადაში უზრუნველყოს ცხოველების რეგისტრაციის განმახორციელებელი დაწესებულების ინფორმირება, საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული ცხოველის ნაყარის და მისი გასხვისების (გაჩუქება, გაყიდვა, გაცვლა) თითოეული ფაქტის შესახებ, ნაყარის შემდგომი რეგისტრაციის წინაპირობების შექმნისა და ამ წესის სხვა მიზნების უზრუნველსაყოფად.

8. ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული ნარევი (მეტისი) ჯიშის ცხოველის გამრავლების შესაძლებლობის შეწყვეტა ქირურგიული (სტერილიზაცია/კასტრაცია), ან სხვა, ცხოველისათვის უვნებელი, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდით *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*.

9. აკრძალულია ცხოველთა ბრძოლების გამართვა.

10. აკრძალულია ცხოველების შეყვანა სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, საავადმყოფოებში, ასევე, იმ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, დაწესებულებებსა და ტერიტორიებზე, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი *(ცვლილება 24.02.2017 N 3-15 ძალაშია 01.03.2017)*.

11. დასაშვებია ცხოველის გვამის:

ა) დამარხვა, საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე;

ბ) კრემაცია;

გ) მოთავსება ბიოთერმულ ორმოში.

12. ცხოველის პატრონი ვალდებულია ცხოველის რეგისტრაციის მომენტისთვის ან რეგისტრაციის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს ცხოველის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა მიკროჩიპირებით, ან ტატუირებით, ან „საჭდით“ (ბირკით) და ყელსაბამით. იდენტიფიკატორი უნდა იძლეოდეს ცხოველის პირადი ნომრის და იდენტიფიკაციის განმახორციელებლის დადგენის შესაძლებლობას. ამასთან, პირი, რომელიც ახდენს ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსებას, ვალდებულია აწარმოოს მის მიერ იდენტიფიცირებული ცხოველების რეესტრი, რომელსაც, მასში ახალი მონაცემების შეყვანიდან 10 დღის ვადაში ან მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, უსასყიდლოდ წარადგენს უფლებამოსილ ორგანოში, ამ წესის დანართი № 3-ის მიხედვით. აღნიშნული მონაცემების წარდგენა ხორციელდება ელექტრონული სახით, უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე (e-mail).

13. ძაღლების (გარდა დეკორატიული ჯიშის ძაღლებისა) გასეირნება საზოგადოებრივ ადგილებში (ქუჩები, სტადიონები, სკვერები, პარკები და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები), გარდა სპეციალური გამოსასეირნებელი ადგილებისა და გადაყვანა 07:00 – 23:00 საათების პერიოდში ნებადართულია მხოლოდ მოკლე საბმელით ან საბმელით და ალიკაპით. იგივე კატეგორიის ცხოველების გასეირნება და გადაყვანა იგივე კატეგორიის ადგილებში 23:00 – 07:00 საათების პერიოდში ნებადართულია

ალიკაპით, საბმელის გარეშეც. ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ძაღლების (გარდა დეკორატიული ჯიშის ძაღლებისა) საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაყვანა ნებადართულია მხოლოდ მოკლე საბმელით და ალიკაპით, ან სპეციალური კონტეინერით.

14. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანმყოლი, შეზღუდული უნარების კომპენსირებისთვის სპეციალურად გაწვრთნილი და აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატის მქონე ძაღლების პატრონებს (მფლობელებს, მსგავსი ძაღლების დახმარებით მოსარგებლე პირებს), აქვთ ზემოხსენებულ ცხოველებთან დაუბრკოლებლად გადაადგილების უფლება საზოგადოებრივი ტრანსპორტით და დანიშნულების ადგილებში (სავაჭრო ობიექტები, საბანკო დაწესებულებები და სხვა).

15. ცხოველის პატრონი ვალდებულია ყოველწლიურად უზრუნველყოს ცხოველის ვეტერინარული შემოწმება, იმუნიზაცია (მათ შორის ანტირაბიული) და საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

16. ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავება, ცხოველის მიერ საზოგადოებრივი სივრცის დაბინძურების შემთხვევაში.

17. ცხოველის დაკარგვის შემთხვევაში, ცხოველის პატრონი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილ ორგანოს დაკარგვის ფაქტის შესახებ და წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია (ცხოველის, მისი დაკარგვის დროის, ადგილის, გარემოებების შესახებ და სხვა) *(19.05.2017 N 10-42, ძალაშია 23.05.2017*).

18. ცხოველის პატრონი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებას და უფლებამოსილ ორგანოს, საკუთრებაში (მფლობელობაში) მყოფი ცხოველის მიერ ადამიანის ან/და ცხოველის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის ფაქტის შესახებ, უზრუნველყოს ცხოველზე ვეტერინარული ზედამხედველობის დაწესება, შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებაში ან უფლებამოსილ ორგანოში წარადგინოს ცხოველის ვეტერინარული პასპორტი და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ცხოველის ვეტერინარული ზედამხედველობის ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს ცხოველის პატრონი *(19.05.2017 N 10-42, ძალაშია 23.05.2017*).

19. ცხოველის დაავადების შემთხვევაში, ცხოველის პატრონი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ვეტერინარულ დაწესებულებას, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანისა ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადების დადგენის შემთხვევაში, ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ წესის პირობებით დადგენილი ცხოველის ევთანაზია და მისი შემდგომი დამარხვა/კრემაცია/მოთავსება ბიოთერმულ ორმოში;

ბ) ცხოველის პატრონის მოთხოვნის და მკურნალობის საფასურის უზრუნველყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში, ცხოველის შესაბამისი მკურნალობა.

20. ცხოველის კვლევის, მკურნალობის, ევთანაზიის და დამარხვის/კრემაციის/ბიოთერმულ ორმოში მოთავსების ხარჯებს ანაზღაურებს ცხოველის პატრონი.

21. ცხოველის პატრონი ვალდებულია საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ ორგანოს.

22. ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომისა და ცხოველის პატრონის მიმართვის შემთხვევაში, ცხოველის გადაყვანას თავშესაფარში და შემდგომი პროცედურების ჩატარებას უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანო.

23. ამ მუხლის მე-19 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის პროცესის სათანადოდ და სრულად ჩატარების და მკურნალობის პროცესში

ადამიანებისა და სხვა ცხოველებისათვის საშიში დაავადების გავრცელების პრევენციის ღონისძიებების გატარების ვალდებულება, კომპეტენციის ფარგლებში აკისრია როგორც ცხოველის პატრონს, ისე შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებას.

24. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-19 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის პროცესში ცხოველის პატრონი დაარღვევს დანიშნული მკურნალობის მეთოდიკას, პროცედურებს და ვადებს, ცხოველის პატრონს ეკისრება პასუხისმგებლობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

25. ადამიანისა ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადების დადგენის შემთხვევაში, ასევე ევთანაზიის თუ ამ მუხლის მე-19 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის ყოველი ფაქტის შესახებ, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს დაუყოვნებლივი ინფორმირება.

26. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-19 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის პროცესში ცხოველის პატრონი დაარღვევს დანიშნული მკურნალობის მეთოდიკას, პროცედურებს და ვადებს, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება აღნიშნულთან დაკავშირებით, ცხოველის პატრონის მიმართ შესაბამისი ზომების გატარების მიზნით. ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვეტერინარულ დაწესებულებას ეკისრება პასუხისმგებლობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ცხოველთა თავშესაფარი

1. ცხოველთა თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალური სტანდარტებს:

ა)გააჩნდეს ცხოველების:

ა.ა) ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბეწვის, ნაცხის, ფეკალის და სისხლის კვლევას ან ლაბორატორიული კვლევის უზრუნველყოფის ქმედითი შესაძლებლობა;

ა.ბ) ვეტერინარული სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის დანიშნულებით განსაზღვრული აუცილებელი ვეტერინარული მანიპულაციების ჩატარებას;

ა.გ) საკარანტინო სივრცე (ვოლიერები), რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფარში შემოყვანილი ცხოველის იზოლაციას სხვა ცხოველებისგან, ლაბორატორიული კვლევის შედეგად ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენამდე ან დაავადებული ცხოველის განკურნებამდე, თავშესაფრიდან გაყვანამდე, ევთანაზიამდე;

ა.დ) განთავსების ვოლიერები;

ა.ე) გასეირნების უზრუნველყოფის სივრცე.

ბ) უზრუნველყოფილი იყოს წყლით, ელექტროენერგიით, კანალიზაციით, ვენტილაციით, სახანძრო სიგნალიზაციით;

გ) უზრუნველყოს ცხოველების ყოფა-ცხოვრების მინიმალური პირობები - სათანადო კვება, დაწყურვება, სისუფთავე, დათბუნება, განათება;

დ) ცხოველის განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს ცხოველს მინიმალური გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას. ძაღლების განთავსების ვოლიერის ფართი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3 კვადრატულ მეტრს, სიმაღლე - მინიმუმ 150 სანტიმეტრს *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*;

ე) აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო და საწარმოო ნორმებს და წესებს, სხვა მოთხოვნებს: საპროექტო-სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოების და ა.შ.

2. ამ წესის ამოქმედებამდე მოქმედი ცხოველთა თავშესაფარი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში მითითებულ მინიმალურ სტანდარტებს, ამ წესის ამოქმედებიდან 18 თვის ვადაში ექვემდებარება სავალდებულო შესაბამისობაში მოყვანას, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მინიმალური სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. ცხოველთა თავშესაფარი, რომელიც ამ წესის ამოქმედებიდან 18 თვის ვადაში არ უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ მინიმალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, დაექვემდებარება დახურვას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა ამ წესის ამოქმედებისთანავე.

4. ცხოველთა თავშესაფარი, მინიმუმ 300 მეტრით უნდა იყოს დაშორებული საცხოვრებელი ტერიტორიიდან, საწარმო ობიექტებისგან და დაწესებულებებისგან. ამ წესის ამოქმედებამდე მოქმედი ცხოველთა თავშესაფარი, რომლის დაშორების მანძილი საცხოვრებელი ტერიტორიიდან, საწარმო ობიექტებისგან და დაწესებულებებისგან 300 მეტრზე ნაკლებია, გააგრძელებს ფუნქციონალურ საქმიანობას, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილ სხვა ნორმებს.

5. ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია უფლებამოსილ ორგანოში უსასყიდლოდ, ყოველთვიურად ან დაუყოვნებლივ მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ამ წესის დანართი № 4-ით დადგენილი, ცხოველთა თავშესაფარში ცხოველთა ბრუნვის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების წარდგენა. აღნიშნული მონაცემების წარდგენა ხორციელდება ელექტრონული სახით, უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე.

6. თავშესაფარი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, ამ წესის და საკუთარი დებულების საფუძველზე.

მუხლი 8. უპატრონო ცხოველების პოპულაციის მართვა და კონტროლი

1. ურბანულ გარემოში ბინადარი უპატრონო და მიკედლებული ცხოველების პოპულაციების მართვა და კონტროლი, მათზე ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება და ამ წესით განსაზღვრული სხვა მიზნების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

2. ცხოველების პოპულაციების მართვის ძირითადი და პრიორიტეტული მეთოდია ცხოველების შობადობის შემცირების უზრუნველყოფა.

3. ურბანულ გარემოში ბინადარი უპატრონო ცხოველების შობადობის და რაოდენობის შესამცირებლად გამოიყენება სტერილიზაცია/კასტრაციის პროცედურები და მსოფლიოში აპრობირებული, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული სხვა ჰუმანური მეთოდები.

4. ცხოველების დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდებით.

5. ცხოველებისგან ადამიანებისა ან/და ცხოველებისათვის მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებისა და ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის მიზნით, ამ წესით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მოახდინოს ცხოველების დაჭერა, იზოლაცია და მათზე ვეტერინარიული ზედამხედველობის განხორციელება, შემდგომი პროცედურების უზრუნველსაყოფად.

6. ცხოველებისგან ადამიანებისა ან/და ცხოველებისათვის მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, სავალდებულო დაჭერას, შემდგომი პროცედურების უზრუნველსაყოფად ექვემდებარება:

ა) ადამიანისა ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელი, აგრესიის აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე ცხოველები;

ბ) ადამიანის ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მატარებელი, საშიში დაავადებების აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე ცხოველები;

გ) უმეთვალყურეო ცხოველები, რომლებმაც მოახდინეს ადამიანის ან ცხოველის დაკბენა/დაკაწვრა/დადორბვლა;

დ) სავარაუდოდ დაკარგული ან უპატრონოდ/მეთვალყურეობის გარეშე მიტოვებული ცხოველები, რომელთა ჯიშის გარეგანი მახასიათებლები ან/და იდენტიფიკაციის ვიზუალური ნიშნები ან/და ქცევითი თავისებურებები მიუთითებენ, რომ ცხოველს შესაძლოა ყავს პატრონი;

ე) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩენილი ტრავმირებული და განსაცდელში მყოფი ცხოველები *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*.

7. ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის ამოცანების უზრუნველსაყოფად, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია თანმიმდევრობით მოახდინოს:

ა) ცხოველების დაჭერა;

ბ) ცხოველების იზოლაცია;

გ) ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობის (კლინიკური და ლაბორატორიული კვლევით) და ქცევითი თავისებურებების (დაკვირვების შესაბამის პირობებში და სპეციალური მეთოდიკით) დადგენა;

დ) ჯანმრთელი და არააგრესიული ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაცია;

ე) ცხოველების პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;

ვ) ცხოველების ანტირაბიული ვაქცინაცია;

ზ) ცხოველების იდენტიფიკაცია;

თ) ცხოველების მიკედლება ან ბინადრობის პირვანდელ თუ სხვა, მიზანშეწონილ არეალში დაბრუნება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული ღონისძიებები იგეგმება და ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილ ორგანოს გააჩნია ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი ღონისძიებების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

9. უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მაქსიმალურად იზრუნოს და ქმედითი ღონისძიებები გაატაროს ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის ამოცანების უზრუნველსაყოფად არსებული რესურსების გაზრდის მიზნით.

10. იმ შემთხვევაში, თუ ცხოველთა პოპულაციების მონიტორინგის მიზნით გატარებული ღონისძიებების საფუძველზე დოკუმენტურად დადგინდება, რომ უპატრონო ცხოველების რაოდენობა აღწევს ისეთ ზღვარს, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და წარმოშობს მომეტებულ რისკებს, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მიიღოს ზომები, რომლებიც მოახდენენ უპატრონო ცხოველების პოპულაციების ოპტიმიზაციას, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

11. უფლებამოსილი ორგანო, კომპეტენციის ფარგლებში, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ატარებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ფიზიკურად ჯანმრთელი და არააგრესიული უპატრონო ცხოველების სხვა კატეგორიაში გადასაყვანად, მათთვის ახალი პატრონის მოძიების ან მიკედლების უზრუნველსაყოფად.

12. ცხოველთა თავშესაფრიდან, ახალი პატრონისა თუ მიმკედლებელისათვის გადასაცემი, ასევე ბინადრობის პირვანდელ არეალში დასაბრუნებელი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო ქირურგიულ ან მედიკამენტურ სტერილიზაციას, დადგენილი მეთოდიკითა და საშუალებებით. გამონაკლისი დაიშვება თავშესაფრიდან ახალი პატრონისა თუ მიმკედლებელისათვის გადასაცემ ცხოველებზე, ცხოველის

გადაცემის მომენტიდან 2 თვის ვადაში სტერილიზაციის/კასტრაციის ოპერაციის ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ პატრონის ან მიმკედლებელის მიერ წერილობით აღებული ვალდებულების ან ახალი პატრონის სურვილისა და ცხოველის ჯიშის დოკუმენტალურად დადასტურების შემთხვევაში.

13. დადგენილი წესით, მიღებული შეტყობინების საფუძველზე ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაფიქსირების შემთხვევაში, ცხოველის (ძაღლი, კატა) ლეშის შესაძლო იდენტიფიკაციას და ტრანსპორტირებას სპეციალურ ბიოთერმულ სამარხში, უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანო *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*.

14. ცხოველთა თავშესაფარში შეყვანილი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას/აღრიცხვას, თავშესაფრიდან მათ გაყვანამდე *(ცვლილება 24.02.2017 N 3-15 ძალაშია 01.03.2017)*.

15. თავშესაფრიდან ურბანული გარემოს პირვანდელ ან სხვა მიზანშეწონილ არეალში დასაბრუნებელი ან/და მისაკედლებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება საჭდით – ძაღლის შემთხვევაში, ხოლო ტატუირებით და ყურის მცირედი (ვიზუალურად ფიქსირებადი) კუპირებით – კატის შემთხვევაში. თავშესაფრიდან გასაჩუქებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება ამ წესით დადგენილი იდენტიფიკაციის ნებისმიერი საშუალებით *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*.

16. თავშესაფარში შეყვანილი ცხოველების (ძაღლი, კატა) სავალდებულო იდენტიფიკაციას საჭდით ან ტატუირებით (და ყურის მცირედი კუპირებით) უსასყიდლოდ ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, თავშესაფრის მესაკუთრის/მფლობელის სურვილის შემთხვევაში და წინასწარი განაცხადის საფუძველზე *(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)*.

მუხლი 9. ცხოველების ევთანაზია *(ცვლილება 24.02.2017 N 3-15 ძალაშია 01.03.2017)*.

1. ცხოველების ევთანაზია დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით, მათთვის ფიზიკური ტკივილის და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენების გარეშე ან მინიმალურად მიყენებით, სპეციალური მედიკამენტების გამოყენებით, ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში და მოთხოვნების შესაბამისად.

2. ევთანაზიის გამოყენება შესაძლებელია იმ ცხოველების მიმართ, რომლებსაც კლინიკური კვლევებით ან დაკვირვების შესაბამის პირობებში და სპეციალური მეთოდიკით, ვეტერინარის და კინოლოგის/ფელინოლოგის სავალდებულო მონაწილეობით შექმნილი კომისია (ფორმდება კომისიის აქტი) დაუდგენს:

ა) აგრესიულ ქცევას, რომელიც არ იძლევა ცხოველის თანაარსებობის საშუალებას ადამიანებთან ან სხვა ცხოველებთან ურთიერთობის პირობებში, მათ შორის იდიოპათიურ აგრესიას (უცაბედი სიბრაზის სინდრომი);

ბ) ადამიანებისა ან/და ცხოველებისათვის საშიშ დაავადებას;

გ) ძლიერ ტრამვებს ან/და დაზიანებებებს, რომლებიც არათავსებადია სიცოცხლესთან;

დ) III – IV სტადიის ონკოლოგიურ დაავადებებს;

ე) დამბლას, პარეზს და სხვა განუკურნებელ დაავადებებს;

ვ) შეუქცევად დაუძლურებას, მათ შორის სიბერის პროცესის გაღრმავების შედეგად;

ზ) ფიზიოლოგიურ ნაკლს (ახალშობილებში).

3. ევთანაზიის პროცედურის დასრულების შემდეგ ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი მკვდარია, რის შემდგომაც დასაშვებია ცხოველის ლეშის პათანატომიური გამოკვლევა, დამარხვა, კრემაცია, ბიოთერმულ ორმოში მოთავსება.

4. ცხოველების ევთანაზია დაუშვებელია:

ა) დახრჩობით;

ბ) გაგუდვით;

გ) მოწამვლით;
დ) ელექტრომუხტის გამოყენებით;
ე) მექანიკური დაზიანების მიყენებით;
ვ) იძულებითი შიმშილით, წყურვილით;
ზ) ცეცხლსასროლი, პნევმატური, აირის თუ სხვა ტიპის იარაღის გამოყენებით;
თ) სხვა არაჰუმანური მეთოდებით.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა და ხარჯების ანაზღაურება *(19.05.2017 N 10-42, ძალაშია 23.05.2017)*.

1. პასუხისმგებლობა ამ წესის დარღვევისთვის განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.
2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება როგორც ცხოველის პატრონზე/მფლობელზე, ასევე იმ პირზე, რომელიც ჩადის სამართალდარღვევას, იმ შემთხვევაში, როდესაც პატრონის/მფლობელის დადგენა შეუძლებელია.
3. ამ წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მეთვალყურეობის გარეშე მყოფ ცხოველს, უფლებამოსილი ორგანო გადაიყვანს ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში (შემდგომში - სპეციალური ადგილი), ამ წესით დადგენილი, შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.
4. ამ მუხლის მე-3 პუქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია გაატაროს ამ წესის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით დადგენილი ღონისძიებები.
5. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველი პატრონს/მფლობელს დაუბრუნდება მხოლოდ სპეციალურ ადგილზე ცხოველის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტების უფლებამოსილ ორგანოში წარდგენის შემდეგ.
6. სპეციალურ ადგილზე ცხოველის გადაყვანის და დღიური მოვლა-პატრონობის ხარჯი შეადგენს:
   ა) გადაყვანა სპეციალურ ადგილზე - 50 ლარს;
   ბ) დღიური მოვლა-პატრონობა:
      ბ.ა) ძაღლის - 5 ლარს;
      ბ.ბ) კატის - 3 ლარს.
7. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი, ამ წესის შესაბამისად იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული ცხოველი პატრონს/მფლობელს დაუბრუნდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოებულ ცხოველთა ერთიან სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ცხოველის მონაცემების შემოწმებისა და ცხოველის პატრონის/მფლობელის იდენტიფიკაციის საფუძველზე. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველის პატრონის/მფლობელის დადგენის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია შეატყობინოს პატრონს/მფლობელს, მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველის სპეციალურ ადგილზე გადაყვანის ფაქტის შესახებ, ამ ფაქტის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს სამი კალენდარული დღისა.
8. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი, იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის გარეშე მყოფი ცხოველი ფაქტიურ პატრონს/მფლობელს დაუბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ პირი წარადგენს უფლებამოსილ ორგანოში 3 მოქალაქის მიერ ხელმოწერით დადასტურებულ და სანოტარო წესით დამოწმებულ ხელწერილს, რომ სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველი წარმოადგენს მის საკუთრებას. სპეციალური ადგილიდან გაყვანამდე, იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის გარეშე მყოფი ცხოველი ექვემდებარება სავალდებული იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას, ამ წესის საფუძველზე საფუძველზე.

9. პატრონისთვის/მფლობელისთვის ცხოველის დაბრუნების შესახებ შედგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენელი და ცხოველის პატრონი/მფლობელი. მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს ცხოველის ფოტოსურათი.

10. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და მათი შინაარსის ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მათ წარმომდგენს.

11. დაჯარიმების თაობაზე გამოცემული აქტის გასაჩივრება არ ათავისუფლებს პირს სპეციალურ ადგილზე ცხოველის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურებისგან.

12. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალურ ადგილზე გადაყვანიდან 10 დღის ვადაში არ დადგინდება ცხოველის პატრონი/მფლობელი ან ის არ მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი ცხოველის დაბრუნების მიზნით და არ აანაზღაურებს სპეციალურ ადგილზე ცხოველის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯებს, უფლებამოსილი ორგანო უფლებამოსილია რაციონალური მიზანშეწონილობის საფუძველზე მოახდინოს ცხოველის რეალიზება ელექტრონული აუქციონის (შემდგომში - აუქციონი) ფორმით, ან გაასხვისოს ცხოველი, ან გაატაროს ამ წესით დადგენილი სხვა მიზანშეწონილი ღონისძიებები.

13. ცხოველის რეალიზება აუქციონის ფორმით ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) ცხოველის რეალიზაციასა და აუქციონის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელი.

ბ) აუქციონის ფორმით ცხოველის რეალიზაციას მოახდენს უფლებამოსილი ორგანო, სსიპ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ გვერდზე www.eauction.ge.

გ) აუქციონის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, უფლებამოსილი ორგანო ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.animalsmonitoring.ge აქვეყნებს განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

გ.ა) აუქციონის დაწყების და დასრულების თარიღს;

გ.ბ) სარეალიზაციო ცხოველების სახეობას, რაოდენობას, მოკლე აღწერას;

გ.გ) ცხოველის საწყის სარეალიზაციო ღირებულებას;

გ.დ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობას;

გ.ე) ბიჯის სიდიდეს;

გ.ვ) საჭიროების შემთხვევაში აუქციონის ჩატარების სხვა პირობებს.

დ) იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია ცხოველის მესაკუთრე/მფლობელი, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია რეალიზაციას დაქვემდებარებული ცხოველის მესაკუთრეს/მფლობელს, აუქციონის დაწყებამდე 3 დღით ადრე წერილობით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით შეატყობინოს ელექტრონული აუქციონის დაწყების დრო.

ე) უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია აუქციონის გამოცხადებამდე მოიკვლიოს ცხოველის საბაზრო ფასი და საწყისი სარეალიზაციო ღირებულება განსაზღვროს ბაზრის კვლევით დადგენილი ოდენობის შესაბამისად.

ვ) აუქციონის დაწყების და დასრულების დროდ განისაზღვრება მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 45 კალენდარული დღე.

ზ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა უნდა შეადგენდეს ცხოველის საწყისი სარეალიზაციო ღირებულების არანაკლებ 10 %-ს და არაუმეტეს 80 %-სა.

თ) ბიჯის ოდენობა განისაზღვრება ცხოველის საწყისი სარეალიზაციო ღირებულების 5 %-ით.

ი) თუ აუქციონზე პირველად გატანისას არ განხორციელდება ცხოველის რეალიზაცია, უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას საწყისი სარეალიზაციო ღირებულების 25%-ით შემცირების თაობაზე.

კ) თუ ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განხორციელდა ცხოველის რეალიზაცია, უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას ცხოველის საწყისი სარეალიზაციო ღირებულების 50 %-ით შემცირების თაობაზე.

ლ) თუ ამ პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განხორციელდა ცხოველის რეალიზაცია, უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას ცხოველის საწყისი სარეალიზაციო ღირებულების 70 %-ით შემცირების თაობაზე.

მ) თუ ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განხორციელდა ცხოველის რეალიზაცია, უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას ცხოველის საწყისი სარეალიზაციო ღირებულების 70%-ზე მეტად შემცირებული ფასით რეალიზაციის თაობაზე.

„წესის“ დანართი № 1

ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობა
№ 0000001

ცხოველი:

1. სახეობა .....
2. ჯიში .....
3. სქესი .....
4. ასაკი .....
5. <u>გარეგანი</u> აღწერილობა .....
   .....
6. იდენტიფიკატორი .....
   (ჩიპის, ან საჭდის, ან ტატუირების №)
7. მუდმივი ადგილსამყოფელის მისამართი .....

ცხოველის პატრონი:

1. სახელი, გვარი .....
2. პირადი № .....
3. მისამართი (ფაქტიური და რეგისტრაციის) .....
   .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)
   .....

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

ბეჭდის ადგილი

ცხოველის პატრონი:

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

(ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობის № 0000001 მეორე მხარე ან დანართი)

ცხოველის საკონტროლო რეგისტრაცია

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

„წესის“ დანართი №2

უფლებამოსილი ორგანოსათვის წარსადგენი მონაცემები
(ცხოველთა ახალი სარეგისტრაციო და ჩატარებული ოპერაციების შესახებ)

.....

(ვეტერინარული დაწესებულების (ცხოველთა თავშესაფრის, კინოლოგიური კლუბის) დასახელება, ID, საანგარიშო თვე, წელი)

№	სარეგისტრაციო მოწმობის №	რეგისტრაციის თარიღი	რეგისტრაციის სახე			ცხოველი						პატრონი/მიმკედლებელი				ჩატარებული ოპერაცია, თარიღი		რეგისტრატორი (სახელი, გვარი, ტელეფონის №)
			პირველადი რეგისტრაცია	რეგისტრაცია ცხოველზე პატრონობის/ მიკედლების ფაქტის ლეგალიზაციის მიზნით	ნაყარის მიღებისა და ნაყარის გასხვისების ფაქტის რეგისტრაცია	სახეობა	ჯიში	სქესი	ასაკი	ელექტრონული იდენტიფიკატორი	იდენტიფიკატორი (ჩიპის, ან ბირკის, ან ტატუირების №)	სახელი, გვარი	პირადი №	მისამართი (ფაქტიური და რეგისტრაციის)	საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელ-ფოსტა)	სტერილიზაცია	კასტრაცია	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19

მონაცემები შეავსო-გადააგზავნა:

..... /სახელი, გვარი/

„ ..... “ ..... 201 ... წ.

(შედგენის თარიღი)

შენიშვნა: ცხრილი დგება და მონაცემები ივსება Excel-ის პროგრამაში.

„წესის“ დანართი №3

ცხოველების იდენტიფიკაციის რეესტრი

.....

(იდენტიფიკაციის განმახორციელებელი დაწესებულების დასახელება და ID ან ფიზიკური პირის სახელი, გვარი)

№	იდენტიფიკატორის №	იდენტიფიკატორის სახე			იდენტიფიკატორის აღწერა (ფორმა, ფერი, წარწერა)	იდენტიფიკატორის დადების თარიღი	ცხოველი					პატრონი/მიმკედლებელი				ჩატარებული ოპერაცია, თარიღი		იდენტიფიკაცია ჩიპარა (სახელი, გვარი, ტელეფონის №)
		მიკროჩიპი	ტატუირება	ბირკა			სახეობა	ჯიში	სქესი	ასაკი	ექსტერიერის აღწერილობა	სახელი, გვარი	პირადი №	მისამართი (ფაქტიური და რეგისტრაციის)	საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელ-ფოსტა)	სტერილიზაცია	კასტრაცია	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19

მონაცემები შეავსო-გადააგზავნა:

..... /სახელი, გვარი/

„ ..... “ ..... 201 ... წ.

(შედგენის თარიღი)

შენიშვნა: ცხრილი დგება და მონაცემები ივსება Excel-ის პროგრამაში.

„წესის“ დანართი № 4

თავშესაფარში ცხოველთა ბრუნვის სტატისტიკური მონაცემები

.....

(თავშესაფრის დასახელება, ID, საანგარიშო თვე, წელი)

№	შემოსული ცხოველების რაოდენობა			ჩატარებული ოპერაციები			გაჩუქდა	მიეკედლა	დაბრუნდა ბინადრობის პირვანდელ არეალში	ბუნებრივი სიკვდილი	ევთანაზია
	ძაღლი	კატა	სხვა	სტერილიზაცია	კასტრაცია	სხვა					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

მონაცემები შეავსო-გადააგზავნა:

..... /სახელი, გვარი/

„ ..... “ ..... 201 ... წ.

(შედგენის თარიღი)

შენიშვნა: ცხრილი დგება და მონაცემები ივსება Excel-ის პროგრამაში.

დანართი
(31.12.2015 N 33-140 ძალაშია 04.01.2016)
„წესის“ დანართი № 5

ცხოველის დროებითი რეგისტრაციის მოწმობა
№ _____

ცხოველი:

1. სახეობა _____
2. ჯიში _____
3. სქესი _____
4. ასაკი _____
5. გარეგანი აღწერილობა _____
_____
6. იდენტიფიკატორი _____
(ჩიპის, ან საჭდის, ან ტატუირების №)
7. დროებითი ადგილსამყოფელის მისამართი _____

ცხოველის პატრონი:

5. სახელი, გვარი _____
6. პირადი № _____
7. მისამართი (დროებითი, ფაქტიური, რეგისტრაციის) _____
_____
8. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)
_____

რეგისტრატორი:

5. სახელი, გვარი _____
6. დასახელება, ID № _____
7. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) _____
8. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

_____ /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

„ _____ “ _____ 201 __ წ.
(თარიღი)

ბეჭდის ადგილი

ცხოველის პატრონი:

_____ /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

„ _____ “ _____ 201 __ წ.
(თარიღი)

(ცხოველის დროებითი რეგისტრაციის მოწმობის მეორე მხარე)

ცხოველის საკონტროლო რეგისტრაცია

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....
2. დასახელება, ID № .....
3. მისამართი (ფაქტიური და იურიდიული) .....
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

„ ..... “ ..... 201 ... წ.
(თარიღი)